



1990
საბჭოთა
30
საზოგადოებრივი
№104 (10341)
ფასი 3 კპ.

საბჭოთა საზოგადოების 1990 წლის 1 მარტიდან

საბ. კვ. ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დემოკრატიული საქალაქო და რაიონული საზოგადოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ,
НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

გზაჯვარედინთან

საქართველო არჩევნის წინაშე დგას — განაგრძოს პოლიტიკური ბრძოლა სახელმწიფო-ოცნებობის აღდგენისათვის თუ „შევიდა დაელოდოს“ ახალ სამოქალაქო (თუ სახალხო-ციო) ხელშეკრულებას. საზოგადოებრივი აქცია, რომ მოსკოვში მუშაობს კომისია, რომელიც ეხმარება სხვადასხვა კონსტიტუციურ საბაზრო გეგმობაზე გადასვლის შესახებ. სხვათა შორის ამ კომისიაში საქართველოდან საქმიანობს ო. კაკაბერიძე. რა უფლებამოსილება გააჩნია მას, არაფერ იცის, გარდა მისი წარმგზავნისა. საგულგნლო გახლავთ ის, რომ კომისიამ თავისი მუშაობის გარკვეული ეტაპის გავლის შემდეგ „ერთსულოვნად“ დაადგინა, რომ კრიზისიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ „ახველა (I) მოკავშირე რესპუბლიკის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური კონსოლიდაციით“. აქედან ცხადი ხდება, რომ „საკუთარი ნებით არაფერ არაფერს დამოსს. თუ საქართველოს თავისუფლება სურს (ეს რომ ასეა, ამაზე მტკიცებებს ქართველი ერის ნება აღიდგინოს დამოუკიდებლობა), მან უნდა გამოიხატოს გზა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა.

სა ხაზგასმით აღვნიშნავთ არჩევნების შესახებ. მის დაპროექტებას წინ უმჯობესა ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობა პარტიულ-თან არსებულ საკონსულტაციო კომისიაში. საზოგადოებას იცის, რომ კანონპროექტის ავტორი ვახტანგ პოლიტიკური ორგანიზაცია „დახა“ (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის). მის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს „ოთხთი კავშირის“ ორგანიზაციებმა (საკუთრივ „დახა“, რესპუბლიკურ-ფედერალურმა პარტიამ, მწვანეთა პარტიამ, ლიბერალურ-დემოკრატიულმა ერთობამ, პარტიამ). კომისიაში მუშაობდნენ „მრგვალი მაგიდას“ ორგანიზაციები, სახალხო ფრონტი და საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლები. ორივე სიტყვით ძნელია იმის აღწერა, თუ არა ჯერ დაადგინა კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე პარტიების წარმომადგენლებს (გულუბნის კომპარტიის წარმომადგენლებსაც). ხანგრძლივი დებატების შემდეგ თითქოს მოინახა ურთიერთმისაღები ვარიანტი, თუმცა უზენაესი საბჭოს სესიის მსვლელობამ გარკვეულწილად სხვაგვარი სურათი დაგვიხატა. „ბეწვის ხიდ-

ზე“ გავლის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს მიღებულ იქნა კანონი არჩევნების შესახებ.

1. ა. წ. ოქტომბერში ქართველ ერს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს ისეთი უზენაესი საბჭო, რომელიც „სამოქალაქო ხელშეკრულებას“ კი არ მოაწერს ხელს, არამედ აღადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

2. უზენაესი საბჭო დაამკვიდრებს ეროვნულ სუვერენიტეტს, რაც აუცილებელი ნაბიჯია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღსადგენად:

- ა). დაიწყებს მოლაპარაკებას საქართველოს დამოუკიდებლობას აღდგენის შესახებ,
- ბ). საბჭოთა არმიის შეინიჭებს უცხო ქვეყნის სამხედრო ძალის სტატუსს,
- გ). განაორციელებს რადიკალურ გეოპოლიტიკურ რეკორმას, დ. მოლიანად შეცვლის არსებულ სტრუქტურებს.

შემოწამებული მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი განსაზღვრული იქნა ცვლილებებისა. საქართველოს დამოუკიდებლობას თავისუფლების პრინციპების დამკვიდრებით უნდა მივაღწიოთ. რას ვგულისხმობ? მოგახსენებთ: პოლიტიკურ თავისუფლებას, თავისუფალ გეოპოლიტიკას, ყოველი პიროვნების თანასწორობას დაცვისა და კანონის წინაშე.

საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის ერთ-ერთმა სამოგობრო დებულებამ, კერძოდ, სახალხო თვითმმართველობის შემოღების იდეამ მომავალ საქართველოში, ცხარე კამათი გამოიწვია. აღნიშნავ მხოლოდ მოწინააღმდეგეთა მოსაზრებას — თითქოს ეს იდეა ხელს უწყობდეს სეპარატიზმის გაღვივებას... ქართველთა შორის. ვერაფრით ვერ გავიზარებთ ამ აზრს, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ უნდა მოხდეს ნაყოფი ვახლავთ. თვითმმართველობა თავისუფლების გამოხატვის წარმოადგენს და მისი განხორციელება აუცილებლად მიგვაჩნია დამოუკიდებელ სახელმწიფოში. მართალია, თვითმმართველობის შემოღებას გარკვეული სიძნელეები ახლავს თან (განსაკუთრებით არაპრობლემური რეგიონებში). ამდენად მისი ცხოვრებაში გატარება ეტაპობრივად უნდა მოხდეს სხვადასხვა რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით. ერთ მნიშვნელოვან გარემოებას მსურს მივამოკიდო: მკიხვე-

ლის ყურადღება — მომავალი არჩევნები პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის შეუწყობს ხელს. საქართველოში დღეს მრავლად მოიძებნება პოლიტიკური პარტია, ორგანიზაცია, მოძრაობა. ყველა მათგანს ოქტომბერში მიიმე გამოცდა ელვის. ერმა უნდა გადაწყვიტოს ვის აირჩევს მომავალ უზენაეს საბჭოში. მაშასადამე, მან უნდა მიიღოს ამა თუ იმ პარტიის მსოფლმხედველობა, პროგრამა და მხარე დაუჭიროს მას. ვის მტერ მომხრე მყავს, ოქტომბერში გაირკვევა. არანაკლებ მნიშვნელოვანია თითოეული პირის ოცნებისათვის მომავალი არჩევნები. ადამიანი (პიროვნება), მით უფრო თუ ის რომელიმე პარტიის წარმომადგენელია, იმით უხანდება, ვინ მყავს ირგვლივ შემოკრებილი — თანამოაზრეები თუ მისი წების ჩუმი ამსრულებლები.

ოქტომბრის არჩევნები გამოაჩენს ქართველი ერის პოლიტიკური-აზროვნების დონეს, მზად არის თუ არა საქართველო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ღრმად მწამს, რომ ასევე ირაკლი შინგელიანი, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე.

დედოქალაქი. 23. 08. 1990.

საბჭოთა
ქართული
საზოგადოებრივი

კვირფასო თანამეგობრებო!

ეროვნულ მოძრაობას ამოფარებული ზოგიერთი დაინაშავი, ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ამ საშვილიშვილო საქმეს და სახელს უტეხს მას. ისინი თავიანთი მოქმედებით ხელს უშლიან მუშაობაში სამართალდამცვე ორგანიზაციებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ დაინაშავის მიერ დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად გატარებული ღონისძიებებისა მინიმალურად აქცივებს სამართალდამრღვევთა პასუხისმგებლობისაგან დახსნის მიზნით და ამას ხშირ შემთხვევაში აღწევენ კიდევ უკიდურეს სურათზე ეს საერთო ქაში ქმნის დაუსჯელობის აბმოსურვროს და დანაშაუდ ელემენტების აღზევებას. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს მშრომელთა ზუნება-განწყობაზე და თავის მხრივ ეს უკანასკნელნი ჩვენს მიმართ გამოთქვამენ სამართლიან უკმაყოფილებას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი მაგალითი. 1990 წლის 28 აგვისტოს მილიციის მუშაკების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ოთხი პიროვნება, რომელთა მინიმალური გატარება კანონით გათვალისწინებული ზომები, დანაშაუდ პირთა მიერ მათ გამოსახსნელად ჩატარებული აქციის გამო. ამ აქციაში სტიქიურად მონაწილეობდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი. რომ არ მქონოდა უდანაშაულო პირთა სისხლის ღირას ადგილი, იძულებული გავხდით დავეთავი-სუფლებინა ნარკომანები. შეგნებულად არ მივშავს რთულ უდიდურს ზომას. ამის ანალოგიას აღვნიშ-

მქონდა ადგილი, როგორც ჩვენთან, ასევე რესპუბლიკის მასშტაბით, ჩვენ შეგვწევს უნარი და გაგვიჩნია სათანადო პოტენციური დავიკვათ საზოგადოება უდიდესი პირების პარპასისაგან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონულმა განყოფილებაში 1990 წლის 24 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე გამოაცხადა გამაფრთხილებელი გაფიცვა.

გაგვიჩნია მოთხოვნები მთავრობისა და ხელისუფლების წინაშე, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში 5 სექტემბრიდან მოლიანად დაფიცება განყოფილება. ჩვენს მოთხოვნებზე მოსახლეობა ინფორმირებულია პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

ამ კრიტიკულ მომენტში მოსახლეობას ვთხოვთ განამტკიცონ საზოგადოებრივი წესრიგი, ასევე დაიცვან პირადი ქონება, რათა შექმნილი ვითარებით არ ისარგებლონ დაინაშავე პირებმა, ჩვენს მიერ კი დაცული იქნება სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტები, განყოფილებაში ფუნქციონირებს ოპერატიული ჯგუფი, რომლის მეშვეობით 5 სექტემბრამდე მოხდება რეაგირება მხოლოდ მიმე დანაშაულზე.

კვირფასო თანამეგობრებო! მოგაპარტავთ რა, იმედი გვაქვს თქვენში მხარდაჭერის და თანადგომისა. ერთად აღვკვეთოთ ცნობარების ანტიკორუპციის პარპასი.

საგაფიცვო კომიტეტი

ინფორმაცია

გეორგიანთა გეგმარეგია

ახალბასთუმნის კოლმეურნეობის (გამგებობის თემქდომარე ვ. ფარცვანია, მთავარი აგრარონი შ. ხუნჯაურა) მეჩაიე მშრომელებმა 29 აგვისტოსათვის შესრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

ახალბასთუმნის კოლმეურნეობაში ორგანიზებულად დაიწყო სასილოსტ მასის იღებამ და მზადდება. 27 აგვისტოსათვის ჩაღებულია 180 ტონა სილოსი, არის გარანტია 10 სექტემბრამდე მზადდება მესრულისათვის გადამეტებით შესრულდება სილოსის დამზადების დავლება.

სილოსის ჩაღების საქმეზე აქტიურბენ მექანიზატორები ვ. ფარცვანია, მ. გულუა, ა. ზიქორია და სხვები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამზადებული სილოსის ხარისხს.

1320 ტონის ნაცვლად მრეწველობას მიეყიდა 1322 ტონა ნედლეული, რომლის 31 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

საერთო წარმატებებში განსაკუთრებული წვლილი აქვთ მეჩაიედ — მეჩაიეებს, რომელთაც თენგო ხორავა, ირჩილ ქადარია, შიტია ლგამბერია, გოგლა სიჭინავა ხელმძღვანელობენ. მათ 10 აგვისტოსათვის გაანადგეს წლიური დავლება. არენდატორებს გადაწყვეტილი აქვთ სეზონის დამთავრებამდე დამატებით მოკრიფონ 25-30

თანამედროვე ყოფა: ფერისცვალების ბარადოქსები

დროის მიერ დასმულ კითხვაზე: როგორი უნდა იყოს პარტია? ერთგვაროვანი პასუხის გაცემა ჭირს. რადგან მკაცრია თვითრეალობა, ადამიანურ განწყობილებათა სპექტრი, რომლებიც მართვის დეფორმირებული ხესტრემისგან არის შობილი. ყოველ შემთხვევისთვის დღეს კატეგორიული ტონით მტკიცება იმისა, რომ ლენინურმა პარტიამ თავის ავანტიურულ როლს კვლავ ვერ შეუდგა შეხარულებს და მმართველობით კომპეტენციას სხვა პოლიტიკური ძალა ვეღარ შეეცვლება, რბილად რომ ვთქვათ, თავის მოტყუებას. ესე ყოველად გასაგები, ბუნებრივად სურვილია მავანმა შინაგანად, ადამიანურად თანაუგრძნოს მოქალაქეთა იმ კატეგორიას, ვინც პარტიის უკიდურესად შერყეული ავტორიტეტის აღდგენაზე იცნებობს. მაგრამ ხომ არ ხჯობა არცა დაუთმობთ თვით ცნობრივად რეალიზაციას, რომლებიც თავად შეიტანენ კორექტივებს სინამდვილეში? წინასწარ შემშუავებული სქემებით, იდეოლოგიური ნარკოტიკებით მასების გაბრუნების პოლიტიკამ რა ცოდვის კალთ გვალეწინა, ყველახათვის ცხადია. უფრო უპირატესი საკითხის ასე დასმა: რომელ პარტიას გავყვით? აღბათ იმას, ვინც სოციალურ საკითხებს მოგვივარტებს, წარმოების ყველაზე აქტიურ სტრუქტურებში ჩაგვაყენებს, შინაგან, პიროვნულ თავისუფლებას მოგვანიჭებს.

დღეს სადად მოაზროვნე ადამიანს უკვე ვეღარ მოატყუებ მიაშტური დოქტრინით: მოდით, თავიდან დაიწყეთ სოციალიზმის ახალი მოდელის აშენებაო. ხალხი დაიღალა შორეული პერსპექტივის დისტანციური, ამოკვეთილი, მას ადამიანური, ნორმალური ყოფა ენატრება. ასეთიარად გამოწვევებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, სულიერი დისკომფორტის ფონზე მყვირალა ფრანგების დაქუბება პარტიის ლენინურ პლატფორმაზე, მის ორთოდოქსულ იდეურ პრინციპებზე და შეუვალ თეორიულ პოსტულატებზე, შორეულ კომუნისტურ პერსპექტივაზე, მკრებლობად აღიქმება. ამიტომ პარტიას აქვს კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა: თვითგანწმენდის, ღირებულებათა გადაფასების შინაგანი სურვილით წარსდგეს ხალხის წინაშე და ხილვად უთხრას სიმართლე.

ისე, მიუხედავად ჩვენი დროის თანმდევი აბსურდული სიტუაციებისა, უმადური არ უნდა იყყო, გარდაქმნის ავტორს მიხეილ გორბაჩოვს და მის თანამოაზრეებს ისტორია ამაგს უცილად დაუფასებს. მართ-

ლაც რომ კოლოსალური ვარდატების, დიდი კოლიზიების მოწმენი ვართ. ვუახლოვდებით მიჯნას, საიდანაც საზოგადოების წინეობრივი აღორძინება უნდა დაიწყოს. ქიშკრების აღგლივებშია ზოგად-ადამიანურმა, ქრისტიანულმა, თუ ქრისტიანულმა ღირებულებებმა უნდა დაიკავონ.

საბაზრო ეკონომიკა, პრივატიზაცია, კერძო საკუთრების „რეანიმაცია“ თავის დროზე ხერხემალი გადატვილი პიროვნული სუვერენობის აღდგენასაც გეპირდება. სახელმწიფო სექტორის მონოპოლიის შეზღუდვის ტენდენცია უმეტეს შემთხვევაში აკლინ ათასი წლის ნიუროკრატიულ - აღმინისტრაციული აპარატის ყოველსშემდეგ ხოსებს. დაძლეულია თვით ათევისში, როგორც მშრომელთა ცნობიერების დაპროგრამების უხეში იარაღი, უღვთობისა და ურჭულობის აპოლოგეტი. დრომ მკაცრად გადასინჯა ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის დიალექტიკური თანაფარდობის პრინციპი. ხალხთა კვლევითი მეგობრობის უარყოფითი არაფერ არ არის, თუ ინტერნაციონალიზმს ბოლომდე გავაშვივლებთ, და მასში ჩადებულ ნაღს — ასიმილაციურული პოლიტიკის შორს გამიწვულ, ვერაგულ ინსტრუმენტს ძირშივე უარვყოფთ. მეექვსე მუხლის ამოღებამ პარტიის უფსკი და როლი, მოქმედების ფორმები და მეთოდები შეცვალა. როცა ამ კონცეპტუალურ სიახლეებზეა საუბარი, ჩვენს არსებას რადაც იმედი ეუფლება. მაგრამ როგორც კი ყურს მოხვდება ძველებური ტერმინები: პარტიის მონოლითურობა, დემოკრატიული ცენტრალიზმი, პარტიის ავანტიურული როლი, იდეოლოგიური უკომპრომისობა და ა. შ. სოციალური ოპტიმიზმის განცდა თვალსა და ხელს შუა ქრება.

ეს სხვა არაფერია, თუ არა კონსერვატორულ შეხედულებებთან ლაცივი, დემოკრატიული რეფორმებისადმი უნდობლობის დათესვა. სწორედ ამდგვარი გაორება, ღრმად გათვლილი ლავირება კონსერვატორებსა და დემოკრატებს შორის, მთელი რიგი კარდინალური საკითხების გაურკვევლობის ბურუსში გახვევა წარმოშობს პარადოქსულ სიტუაციებს ყოვე-

ლდღიურ სინამდვილეში. აი, თუნდა ეს მაგალითი: პარტიის ვეტერანი მარო ნაჭყებია სულთან-ხორციანად დაიმედებულია იმაში, რომ კომუნისტური პარტია არსებული კრიზისიდან გამარჯვებული გამოვა და ისევ აღიდგენს ძველებურ დიდებას. თავად კი პარტიულ ბიუროთან განმარტება ერთი წუთითაც ვერ

წარმოუდგენია და მას ბოლომდე სრულ ერთგულებას ეფიცება. აბსოლუტურად პოლარული მსოფლმხედველობა და სულიერი განცდები იკითხება კაბუქობიდანვე კომპავშირული იდეალებისათვის ფანატურად თავაზადებული ვეტერანის, ცნობილი მექალაქის, გლადიმერ შონის მიერ რედაქციისათვის გამოგზავნილ მოკლე ხარათში. ეგი მკაცრ მსაჯულად გვეფიქნება იმ საშინელი დეფორმაციების, რაც სოციალიზმის ხუთწიდეებში მოუტანა ჩვენს ხალხს. მის სიტყვებში გულისწყრომა და მონანიების განცდა ერთმანეთთან არის შეზავებული. ამ სულიერი ჩიხიდან გამოსავალს ეს ხანდაზმული კომუნისტი პარტიის რიგების დატოვებაში ხედავს.

გემოთქმულის უნისონში შედრს პარტიის 23-ე ყრილობაზე - მარქსისტული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრის ალექსანდრე ბუზგალინის განცხადება: უმთავრესი პრიპლემია ისა, რომ პარტია არ გაიხრწნას. და ეს რომ ავიცილოთ თავიდან, საჭიროა მუშაობა ქვედა ფენებში, უშუალოდ ხალხში. მთლად სარწმუნოდ არ გუხვენება თქვენი არგუმენტები, პატავიულო ბუზგალინი. რატომღაც უფრო დამატრებლად რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლების ნიკოლოზ ტრავკინის და იური აფანასიევის მოსაზრება გვეხანება. ისინი იმ დროზე იცნებობენ, უფრო სწორად ამისათვისაც იბრძვიან კედეტ, როცა კომუნისტურმა პარტიამ პრაქტიკულადაც უარი უნდა თქვას ყოველგვარ მონოპოლიაზე, მმართველობით სტრუქტურის უფსკიანე და სხვა პოლიტიკურ ძალებთან მხარდამხარ იღვწოს ქვეყნის დემოკრატიული პრინციპებით მოწყობისათვის, პარლამენტური მართვის დამკვიდრებისათვის.

ზოგი რამ ეკონომიკაზე უნდა ვთქვათ. ყოველად აუხსნელი ალოგიზმი იმ იყო, რომ

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე სოფლის მეურნეობის ხელაღებით იდეოლოგიზირებაც მოხდა. სტალინური კოლექტივიზაცია უაქტიურად მიწების მილიტარიზაციად იქცა. იმ მიწებისა, რომლებიც სულ რაღაც ოცოდე წლის წინათ სტალინის რეფორმის წყალობით რუსული „ოზშინის“

სუნდებისაგან გათავისუფლდა და ფერმერულ მეურნეობებზე აიღო გზი. ბოლშევიკურმა ტოტალიტარულმა სისტემამ კი ფაქტიურად განდევნა სოფლის არეალიდან გამარჯვებულებაც გენოციპი. პირადი ენციკატხვა, მიწის სიყვარული და ოფლით მოწვეული მოსახლეიდან გაჩენილი ფულის ხამო განცდა კერძო-მესაკუთრული ინსტიტუტად, კამატალიზმის გაღმონათად მოიხათლა. იმის აქეთ, აგრამდენი ათეული წელი გავდა და მაინც ვერ აღავისნიდა თავი დოგმატური მიდგომების ტყვეობიდან. რამდენი კამათი, დავა, წუხილია სასოფლო წარმოების სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობაზე. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების გაუქმებაზე ფიქრიც კი ქრჩეობით იდეოლოგიურ საფრთხობელად ეჩვენება რიგ პასუხისმგებელ მუშაკებს. ვცადოთ, გავანალიზოთ გაუხედაობის ამ სინდრომის გამოშვევი მიზეზები. კოლმეურნეობა მართვის ტრადიციული მოდელია, რომლის ურყევობაში შემდგომი არ გიხაყედურებს. გარდა ამისა, ძველი სტრუქტურა შენ, ხელმძღვანელს მორალური და სოციალური გარანტიების ქავშანში გვაქვს. ეს არის თანამდებობრივი ამბიცი, დიქტატის ჩვეული არეალი, და ა. შ. ამა, ასეთ დროს რა თავში იხლი სამეურნეო ანგარიშს, არენდულ ფორმებს, თვითმმართველობით სტრუქტურებს, ინდივიდუალურ გლმხურ მეურნეობებს, ასე ფიქრობს გუნებაში ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელობის არცთუ ისე მცირე ნაწილი. და ამ ლოგიკის მიხედვით მიწის ამჟამინდელი რეფორმისაგან განა რაიმე რეალურ სიკეთეს უნდა მოველოდოთ. სხვათაშორის გლმხეც შეშინებულია, სიახლეებს უხალიხოდ უბამს მხარს. განა იშიტომ, რომ კოლმეურნეობა ეხატება გულზე. არა მხოლოდ წარმაცი და მერდილით, არამედ

გამარჯვებულ და ღამის გამანქორბელი მუშაკაცოც ცხარს, იმზუებს სიანლეტა რატომ? უპირველეს ყოვლისა, იმითი რომ არაერთხელ მოუტყუებიათ, ახუჩად აუფლათ, ცხარად ოფლის მოსადენად წაუქეზებიათ და მოკლე ხანში ისევ ახანაირი გამოგონილი, ხელმწიური ნორმატივების, შეფასებების, კოეფიციენტების ბადეზ გაუხლართიათ. ამას ისიც ემატება, რომ მიწისა და საკუთრების შესახებ მიღებულ კანონებს წყარ სამართლებრივ განანტებს ვეღარ პოულობს, გადაყმული ნაკვეთის ისევ კონფესკციისა ემინია. ძნელი, მტკაძ ძნელი აღმოჩნდა ტოტალური უნდობლობის წარის გარდვივა თუმცა ძლიერი, თვითდაჭრებული, გაბედული და ინიციატივანი პიროვნებები მაინც ახერხებენ არსებული დოგმების მოშლას, რისკზე უახლას. ამს მაგალითია, ღარჩელში, წარანენში, ჩხოროაში, რიყეში, შედაფერში, ახალაბასთუმანში და ზოგიერთ სხვა სოფელში შემოდებული ორმხრივი ხელშეკრულებები. განსაკუთრებული სტამული მან მარცვლელი კულებურების წარმოების სფეროს შემატა.

სოფლის სატკივარზე ფიქრისას პეროდოტეს ერთი იგავა გვაგონდება: ძველ სახერხეთში ორი სოფელი — პაროსი და მილეთი ემევენოდა ერთმანეთს. პაროსი ჰყვოდა, მილეთი კ სულს ძლივს დაფვდა. ეს უკანასკნელი შეეღო შეხთხოვდა, მდღარ მეზობელს. ბროსს პაროსის მმართველმა ექსპერტებს გავაგნა მილეთში მდგომარეობის შესასწავლად. და, რა გაბორკვა: თითო-ორილა მუყაითი, თავიანი მეურნის გარდა, სხვა დანარჩენების ენო-კარმიდამი დაქცივის პირამდე იყო მიხულა. პაროსელმა ექსპერტებმა გლმხთა სათათბირო მოიწვიეს და სოფელი სამართავად იმ გამქრიას მეურნეებს გადასცეს.

აი, ზოგ ჩვენს კოლმეურნეობას, რომელსაც ვაღებოდათ თავი ვერ დაუხლწევია და არც იმის გარანტია ჩანს, რომ ხედა და ზეგ პროდუქტის გარება დაყენებს, მილეთის ექსპერტენტმა იქნებ შთაბეროს ახალი ენერგია. მოდით, გავბედოთ და თავიან კაცებს უდავაბაროთ სოფლის სახნავ-საარაულები სამართავად. და თუ რას დაგარმვეთ საქმის გაძლიების ამ ფორმას, — კოლექტივობს, ქმუფურს, აქციონერულს თუ სხვა რამეს, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

შთავარია ეკონომიკის განვითარების მამა-პაპური, ბუნებრივი კანონი ადვადგინოთ თავის უფლებებში.

მიწა აუყვავე მამულს,
მ ა შ ვ რ ა ლ მ...

ახალკანათის კოლმეურნეობის (გამგეობის თავმჯდომარე ნ. შუბილაძე, მთავარი ინგონომი რ. ჩიქავა), მწვანე პლანტაციის ოსტატებმა, რაიონში პირველმა შესატრლეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წდური დეკლები. გეგმით გათვალისწინებული 855 ტონის ნაცვლად, დღეისათ-

ვის დამზადებულია 952 ტონა ნედლეული. ხელით მკრეფავთა ექვსი ბრიგადა და ორი მექანიზირებული რგოლი იბრძოდა ჩაის უხვი მოსავლის მისაღებად. დილია მექანიზებული რგოლის

ხელმძღვანელების ძმების ქემილ და ოთარ ფიფიების წელილი სავრთო წარმატებებში. ქემალის რგოლმა გეგმიური 91 ტონის ნაცვლად დაამზადა 99 ტონა ნედლეული, ოთარის რგოლმა 63-ის ნაცვლად 67 ტონა

ჩაის მწვანე ფოთლი. ხელით მკრეფავ ბრიგადებს შორის ფინიზეგ პირველები გვიდნენ მერაბ ლესინძისა და თენგიზ შენგელიას ბრიგადის წევრები. ექვსივე ბრიგადამ

გადამეტნით გააწაღა დავალება. მოკრეფილი ნედლეულის 53 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ახალკანათელ მეჩაიებს ვულოცავთ გამარჯვებას. კრეფა გრძელდება.

უფრო მეტი გარდაცვლილი პირების არჩივლიდან

გარითმული განწყობილება

უცნაურია ამ ცხოვრების წესი ღმერთგანი,
მთელი სამყარო თითქოს უცებ დაცარიელდა,
სიჭარბაგეშიც მე და დედა შევრჩით ერთმანეთს,
როგორც ოდესღაც სიყმაწვილის დასალიერთან.
რა უსაშველომ გამახსენა კოკლი მეთარე,
საქ წავიდა, ისააკი სად დასამარდა,
სიჭარბაგეშიც მე და ლექსი შევრჩით ერთმანეთს,
როგორც ოდესღაც სიჭაბუკის გადასავალითან.
არაფინ არჩევს—მთვარე გვწამს თუ შუგის მივეთვალეთ,
რა მოლოდინით გავიღვიძა ქარმა რტობი,
სიჭარბაგეშიც მე და დედა შევრჩით ერთმანეთს
გალაქტიონის გენიალურ განმარტობით.
აქ სულერთია უნებურად ვის ვიმტრებდით,
წარვიდნენ დღენი ბავშვობაში ხანატრიონი,
მეტრე-პავლეზე მლოცვედღვით შიშის ტერენტო,
მამადავითზე მიბრძანდება გალაქტიონი.
დღეები სანთლებს კიდევ ბევრჯერ ჩამოღვევთავენ,
ჩქით კვალთა იუდათა და სალიერთა,
კიდევ კარგი, რომ მე და დედა შევრჩით ერთმანეთს,
სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ დასალიერთან.

ბედნიერი დღე

ურთიერთ ლექსებზე ბევრი კამათია,
და კაცი, რომელსაც შორიდან
ვიცნობ,
მაძალეზს—იქიდეთ რენე კალანდია,
თუ გინდათ ნამდვილი პოეტი
იკრძალო.
გულმა საოცარი სიამე იკრძალო,
წაიდეთ ტაში და წაიდეთ დიდება,
პოეტი, რომელმაც სინაღდე იმყო
სხვადასხვა ადგილად არ გაიყიდა.
ჭერ წაიჭიბოვენ, მერე კამათია
ციხეც იწვართება ბილიტი ვიწრო,
—თქვენ იცნობთ ბატონო, რენე
კალანდიას?
—დაიხ, ათიოდ სტრიქონშიც ვიცნობ.
ჩემთვის სულერთია „იქ“ რა
კამათია,
ამ დღეს ბედნიერი ნამდვილად
ვიყავ —
თქვენთვის უცნობია გიგა
კალანდია,
მე კი... ბავშვობიდან ვიცნობ და
მიყვარს.
1985 წ.

გთხოვთ, ხმა მიაწვდინოთ

თავის დროზე, როცა ორსანტი-
ნაში სატელეფონო სადგური
დამონტაჟდა და 150-მდე ოჯახ
მა ისარგებლა მისი სიკეთით, გა
ვიხარეთ, გაზეთ „მებრძოლმა“
გაიზარა ეს სიხარული, მაგრამ
იმედი მაღე გავიცრუვდა, ტელე-
ფონები „უმიწეოდ“ ხშირად
გამოადის მწყობრიდან. ასე გრძე-
ლდება ჰიტეკოს უბანშიც. ამ
მხრივ ჩემი ტელეფონი „რე-
კორდსენია“—15 მაისის შემდეგ
დამუწყებულმა, რამდენჯერმე მი-
ვართეთ ორსანტის სატელე-
ფონოფონებს, მაგრამ ამაოდ.
სამუხაროდ, ტელეფონით სუ-
გებლობის ქირას წლის დასაწყი-
სიდანვე ვინდი.
პატივცემულო რედაქციო,
გთხოვთ ხმა მიაწვდინოთ კავში-
რგამშულობის რაიონული კავს-
ის უფროსს ალექსანდრე გოგ-
იას, იქნებ რამე გვეშველოს!
შ. წითაშვილი,
ოზის, შრკისა და პარტიის
ვეტერანი.

შინაგან საქმეთა საქალაქო-
რაიონული განყოფილებიდან
იტყობინებიან

მიმდინარე წლის 14-15 აგვისტოს ფაიფურის ქარხანაში
დამის საათებში საწყობიდან მოიპარეს 27 ცალი საყვავილე
ვაზა. ქურდობაში ეჭვმიტანილი და დაკავებული არიან ჩიქოვანის
ქუჩაზე მცხოვრები ფრიდონ დავითის ძე ხაჩია, ფაიფურის
ქარხნის მუშები: გენდი არველოდის ძე წულაია, ზაზა ჭუმბუ-
რის ძე ჭიქია.

აგვისტოს თვეში სოფელ ანაკლიის გზაზე მომხდარ ავტო-
საგზაო შემთხვევის გამო როგავეების დაზიანების ფაქტზე
აღძრულ საქმეზე დადგინდ და დაკავებულ იქნა ბორცოქა-
შელი. იგი აღმოჩნდა მამუკა არჩილის ძე შამხია, მცხოვრები
ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში.

18 აგვისტოს გატაცებულ იქნა მოქალაქე შერაბ ურას ძე
ლომთაძის კუთვნილი ავტომანქანა სოფელ ნარაზენის ტერიტორია-
ზე. მიმდინარეობს გამოძიება. ეჭვმიტანილები დადგინდია, ტარ-
დენა ოპერატიული ღონისძიებები მათ წარმოსადგენად.

16 აგვისტოს სოფელ რუხში გაქურდეს მოქალაქე ზესიკ
სახოს ძე გირგულიანის ავტომანქანა, ეჭვმიტანილი დადგინდია,
იგი გახლავთ კახა ჭიქია და სხვები.

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს დამის საათებში დაუდგენე-
ლი ბორცოქაშელის შერე ზუგდიდის №12 სამშენებლო
ტრესტის ადმინისტრაციული შენობიდან მოპარულ იქნა ერთი
ცალი კონდიციონერი.

ასი წლის მერე...

აღბათ ხელე მალე ოდის ცაცხვებს
მაცხოვრის კარის ცაცხვი ანიშნებს,
რომ აქაც ერთი საფლავი გასტრებს,
ცნობილ პოეტთა ცრემლის გარეშე.
არავითარი გვირგვინთა გროვა,
მაცხოვრის გორა ისედაც დაღლით
ჩვეულებრივი იქნება გლოვა,
ჩვეულებრივი იქნება ხალხი.
შერ—საფლავიდან წამოკრფეს ცრემლებს,
ნაკურთხ წყლივით წაიღებს ცაში...
დაიფრებენ დიდები წყუნას,
სენს ახსენებენ ავსა და საშისს.
შერე კი, მერე ჩემუელ სიბოზს
დაანაწილებს ცხოვრება წლებად,
მერე ამ ლექსშიც ვიღაცა ხვითო
გრანელის სუნთქვას დაუწყებს ძენას.
შენ ნუ შეკრები, აქამდე უჩრჩი,
ისევე სიყვარულს მიენდე ნანა!
პოეტებს ყველგან უმძიმთ და უქირთ
და საწუთროშიც ერთმანეთს გვანან,
ახე ეს და დემონურ რაკვით

ბედი რაც უნდა ბოროტად გაწყრეს,
ოდისის ცაცხვებს მოიყვანს კოკი,
მოუსამძიშრებს მაცხოვრის ცაცხვებს.
მაგრამ ჭერ ღმერთო, მადროვე ჭერ და
არ შემოშფოთო ძვირფასი მკვდრები,
არ გამიწარო მოხუცი დედა,
არ დამითაღზო საწყალი დები,
მერე მე თვითონ ვიფიქრებ. მოლზე,
არ დაგვირდება ფანდი და მახე,
არ დამიხსვავსო დასაკლავ მოწვერს
ერთადერთი ძმის კეთილი სახე.
ბევრი არაფრის მიმეცება ჭავრი,
ვიცხოვრე შგონის წვითა და თინით,
ცოლყოფის ახლაც სწერია ჭვარი,
შენ შიპატრონე ობოლი შვილი.
მაგრამ ჭერ, ღმერთო არ მინდა დაცხრე,
მერე კი დუმილს მიტ შევიფრებ,
პოეტ—პოეტს, ცაცხვები—ცაცხვებს
მოიკითხვენ ასი წლის მერეც.
არჩილ ფირცხალაშა.
1986 წ.

საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის
რეგიონალური ორგანიზაციის
გამგეობის საგანგებო

საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური
ორგანიზაციის გამგეობა ნარკომანიასთან ბრძოლის გაძლიერების
მიზნით წინადადებით მიმართავს ქალაქისა და რაიონის სა-
ზოგადოებრიობას დაუკავებლივ შეიქმნას 10-12 სასტატო
ერთეული ქალაქის ნარკოპოლიცია, რომელიც დაეშორილება
მხოლოდ ზუგდიდის საქალაქო საბჭოს და დაფინანსდება ქალა-
ქისა და რაიონის წარმომებების, მეურნეობებისა და კოლმეურნე-
ობების შერე.
ამ საკითხთან დაკავშირებით ბარასკევის 81 აგვისტოს, 12
საათზე ვატარებთ თათბირს, რომელშიც წარმოებების, მეურნე-
ობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა დასწრება
აუცილებელია.
საქართველოს სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონ-
ალური ორგანიზაციის გამგეობა.

საქართველოს მუსიკალური
საზოგადოებრივი ზუგდიდის ხა-
ტალაძე გამგეობა აცხადებს
მოსწავლეთა მიღებას, გამგეობა-
სთან არსებულ საზუნდო-სამუსი-
კო სკოლაში 1990-91 სასწავ-
ლო წლისათვის.
საზუნდო-სამუსიკო სკოლის
საზუნდო-საფორტეპიანო განყო-
ფილებაზე ჩარიცხებიან 7-8
წლამდე ასაკის ბავშვები, რომე-
ლთაც აქვთ მუსიკალური და
საზუნდო პროფილისათვის საჭი-
რო მონაცემები.
საბუთების მიღება იწარმოებს
ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
და დილის 10 საათიდან.
შინალები გამოცდები ჩატარდ-
ება 15 სექტემბერს. მისა-
მართი: ცოტნე დადიანის ქ. №8,
ტელ: 2-85-90.
მსურველებმა უნდა წარმოად-
გონონ შემდეგი საბუთები:
განცხადება საზოგადოების
თავმჯდომარის სახელზე ბავშვის
ასაკისა და საცხოვრებელი ადგი-
ლის აღნიშვნით, დაბადების
მოწმობა (ასლი), სამედიცინო
ცნობა ჭანბრთელობის შესახებ,
ცნობა მშობლების სამუსიკო
ადგილიდან, 2 ცალი ფოტო-
რათი (8x4).
საქართველოს მუსიკალური
საზოგადოებრივი ზუგდიდის
საქალაქო გამგეობა.

რედაქტორი ა. ბანტუჩიძე.

ბეუღლე ნინო, შვილები: მამუკა,
ლოგვიანი, ელისა, ვილიმე-
ლები: კახა, ვერიკო. და ვარდო,
დისშვილები: ლიანა, რეზო ჭიქ-
იები. სიძე ვარლამი ჭიქია, იან-
ურ მესხი, რომლებიც: ინგა, ნარგი-
ზა, ხათულა. შურა, ზაირა, ცო-
ლისძებნი იანური, ჯამბული
ერემაძეები, სიღერდი ვალია
ერემაძე, ბიცოლები: ლიდა, თა-
მარა, ბიძაშვილები: ვალიკო,
იაშა, სანა ბერიშვილები, დეი-
დაშვილი ბორის შელია, მაილი-
აშვილები ვარლამი მითაგვარია,
ვენერა და ბაბი კოდუბეი, ანლო
ნათესაგები იუწყებიან
შორა სილოვანის ძე ბერიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 31
აგვისტოს, 1 სექტემბერს. დაკრ-
ძალვა 2 სექტემბერს ს. ნარა-
ზენში.
შვილი მიშოზა, სიძე რეზო ევანია,
შვილიშვილები შათა, სოსო იუწყ-
ებიან
ამოლონ გაბრიელის ძე ჭანაშაის
გარდაცვალებას.
ქალქ ზუგდიდის სასწრაფო სა-
მედიცინო დახმარების სადგურის
თანამშრომლები იუწყებიან ფერ-
შალ
გიორგი (ერა) სილოვანის ძე
ბერიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 1,
2 სექტემბერს. დაკრძალვა 4
სექტემბერს. გამოსვენება ზუგ-
დიდში, გოგებაშვილის ქ. 40-დან
6 საათზე.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის
ამოართის მუშაები სამშინარს
უცხადებენ ნუნუ გეთის მამის
შოთა იასონის ძე გეთიას
გარდაცვალების გამო.
დედა ნათა, შვილი ნანა. დები:
მარო, თამარი. ვალია, სიძეები:
ერემაძე მამაკარია, კუპური ჩორია.
ცოლისდა ლამარა. ცოლისძებნი:
მალვა, ვალიკო ზარანდები, დის-
შვილები: ლამიზა, ლუიზა. მე-
რები. ლალი ბავთელიები, ენე-
რი. თამუნა მამაკარია, ზურა-
ბი, რუსიკო ჩორიები. დეიდები
ლოლი, ლენა ნაკვებები, ბიძაშ-
ვილები, დეიდაშვილები, მაილი-
აშვილები იუწყებიან
დავით მიხეილის ძე ჭილიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 1,
2 სექტემბერს. დაკრძალვა 4
სექტემბერს. გამოსვენება ზუგ-
დიდში, გოგებაშვილის ქ. 40-დან
6 საათზე.
დედა ნურა, მეუღლე ხუტა ჭან-
ტურია, შვილები: ნათელა, მანანა.
ნანა, სოსო, ბესიკი, მმა გურიე-
ლი. დები: ცილა. შერი. სიძეები:
გერონტი ჭითანავა, ომარი ოყუ-
ჩაძე, ვერიკო ლოგუა. რძალი
ზაირა, შვილიშვილები: რომანი,
რამინი ჭითანავები, ქრისტინა,
გიგა ოყუჩაძეები, მარლი შორა,
შული შურა, მისიშვილები, დის-
შვილები, ბიძაშვილები, დეიდაშ-
ვილები, ანლო ნათესაგები იუწყ-
ებიან
თალოკ ერმინეს ასულ
ზურაბია-ჭანტურიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 31
აგვისტოს, 1 სექტემბერს, დაკრძალ-
ვა 2 სექტემბერს ს. ახალსოფელში.

გიწვევთ ორცვლიან სამუსიკო-
ზე ზუგდიდის ჩაის საწონ ფაბრი-
კაში შემდეგ სამუსიკოზე:
ოპერატორი—200 მანეთიდან
250 მანეთამდე.
გამმართველი—800 მანეთიდან
850 მანეთამდე.
მუშები უზრუნველყოფილი იქ-
ნებიან უფასო სატრანსპორტო
მოსახურებით და ერთჯერადი
კვებით. დამატებითი ცნობე-
ბისათვის მიმართეთ ფაბრიკის
დირექციას. ტელ: 2-28-99.
2-19-10.
დირექცია.

საქართველოს მუსიკალური
საზოგადოებრივი ზუგდიდის ხა-
ტალაძე გამგეობა აცხადებს
მოსწავლეთა მიღებას, გამგეობა-
სთან არსებულ საზუნდო-სამუსი-
კო სკოლაში 1990-91 სასწავ-
ლო წლისათვის.
საზუნდო-სამუსიკო სკოლის
საზუნდო-საფორტეპიანო განყო-
ფილებაზე ჩარიცხებიან 7-8
წლამდე ასაკის ბავშვები, რომე-
ლთაც აქვთ მუსიკალური და
საზუნდო პროფილისათვის საჭი-
რო მონაცემები.
საბუთების მიღება იწარმოებს
ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
და დილის 10 საათიდან.
შინალები გამოცდები ჩატარდ-
ება 15 სექტემბერს. მისა-
მართი: ცოტნე დადიანის ქ. №8,
ტელ: 2-85-90.
მსურველებმა უნდა წარმოად-
გონონ შემდეგი საბუთები:
განცხადება საზოგადოების
თავმჯდომარის სახელზე ბავშვის
ასაკისა და საცხოვრებელი ადგი-
ლის აღნიშვნით, დაბადების
მოწმობა (ასლი), სამედიცინო
ცნობა ჭანბრთელობის შესახებ,
ცნობა მშობლების სამუსიკო
ადგილიდან, 2 ცალი ფოტო-
რათი (8x4).
საქართველოს მუსიკალური
საზოგადოებრივი ზუგდიდის
საქალაქო გამგეობა.